შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი **6 ნოემბერი 2015 წელი**

ერთი მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გიორგი სოლომონიას სახით და მეორე მხრივ, შპს „ენკო“ (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე შიოლაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. ვინაიდან, შპს „ენკო“ - სთან 2015 წლის 28 სექტემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N07.01.02.03/10/635 ხელშეკრულებით *(ქ. თბილისის მასშტაბით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების (N31; N197; N153 და N136 საბავშვო ბაგა - ბაღები) ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები)* გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისას, გამოვლინდა ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის ხელის შემშლელი გარემოებები (კერძოდ; N31 საბავშო ბაგა–ბაღის ეზოს ტერიტორიაზე გამავალი საკანალიზაციო ქსელი აღმოჩნდა ამორტიზირებული, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებამდე შეუძლებელია ასფალტ–ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების წარმოება. გარდა ამისა, 30 სექტემბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით, 22 დღის განმავლობაში დაფიქსირდა ნალექიანი ამინდი), ხელშეკრულების მონაწილე მხარეები – შემსყიდველი და მიმწოდებელი - შეთანხმდნენ:

1.1 შეტანილ იქნას ცვლილება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ #31 საბავშვო ბაღის ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების მიწოდების ვადაში და ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1.2 N31 საბავშვო ბაგა - ბაღის ეზოს რეაბილიტაცია - ხელშეკრულების გაფორმებიდან 55 (ორმოცდათხუთმეტი) კალენდარული დღე.“

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საფუძველი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 6 ნოემბრის N10-18/13593 წერილი.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2015 წლის 28 სექტემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N07.01.02.03/10/635 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კოდი: 204521794
მერის მოადგილე
გ. სოლომონია

მიმწოდებელი:
შპს „ენკო“
ს/კოდი: 402004718
დირექტორი
თ. შიოლაშვილი